პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზინშტეინის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დღ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის №
საერთო №

გაზეთის დაკვეთა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

№ 137 ოთხშაბათი, 17 აგვისტო, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 17 აგვისტო, 1921 წ. № 137

17 აგვისტო
ოთხშაბათი

1920. საზავო მოლაპარაკების დაწყება პოლონეთთან ქ. მინსკში,

1906, ჯარების უმაღლესთ დაჯილდოება შეიარაღებულ აჯანყების ჩაქრობისთვის მოსკოვში.

1878. მიხაილოვის მოედანზე პეტერბურგში მოკლეს სტეპნიაკ—კრავჩინსკის ხანჯლით ჟანდარმების შეფი მეზენცევი.

დღიური:

— გერმანიაში გვალვამ მოსავალი ძალიან დააზარალა.

— სერბიაში სწარმოებს კომუნისტების სასტიკი დევნა და მასიური დაპატიმრება.

— იაპონიაში მოხდა მუშათა გრანდიოზული მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია.

— ამერიკის მთავრობა აცხადებს: არ ჩაერევა რუსეთის საქმეებში და არ იცნობს არცა ერთ ანტიბოლშევიკურ მთავრობას, რომელიც შესაძლებელია აღმოცენდეს რუსეთის ტერიტორიაზე.

საბჭოთა რესპუბლიკების ერთობა

საბჭოთა რესპუბლიკა მშრომელთა პოლიტიკური ბატონობის, მუშების და გლეხების დიქტატურის გამოხატულებაა. პოლიტიკური ბატონობა უნდა ეყრდნობოდეს ბატონობას ეკონომიკაშიც, ის უნდა იქცეს მძლავრ იარაღად ეკონომიურ ურთიერთობათა გარდასაქმნელად, საწარმოვო ძალთა ახალ კალაპოტში ჩასაყენებლად და წინ წასაწევად. თუ ეკონომიური საფუძველი არ შეეფერება პოლიტიკურ ზედნაშენს, თუ ის მტკიცე საძირკვლად არ უდევს გაბატონებული კლასის დიქტატურას, მთელი შენობა ქვიშაზე აშენებული იქნება და ადრე თუ გვიან დაინგრევა. ამიტომ მშრომელთა დიქტატურის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს პოლიტიკური ზედნაშენის გამაგრება ეკონომიურ საძირკვლის გამაგრებით. პოლიტიკამ უნდა გაანაყოფიეროს ეკონომიკა, ეკონომიკამ სასიცოცხლო ძალა უნდა შეჰმატოს პოლიტიკას. ჩვენს პირობებში ეს ნიშნავს: საბჭოთა რესპუბლიკა ძლიერი უნდა იყოს პოლიტიკურად, იმავე დროს ეძიოს გზა და საშუალება ეკონომიურად გაძლიერებისა. საქართველო თავისთავად, განმარტოებულად სუსტია პოლიტიკურად და ეკონომიურად. რევოლუციის ხანაში ის მარტო თავის ძალებს ვერ დაეყრდნობა, მან აუცილებლად მჭიდრო კავშირით უნდა შეეკრას სხვა პოლიტიკურ ერთეულს თუ ერთეულებს, თუ კი სურს რევოლუციის კარტეხილს გადაურჩეს და რომელიმე რეაქციონურ ძალის მსხვერპლი არ გახდეს.

ეკონომიურად საქართველო მუდამ სუსტი იყო და ასედაც დარჩა. ამიტომ მას ეს ჭირდება მჭიდრო ეკონომიური კავშირი სხვა უფრო მძლავრ ეკონომიურ და სამეურნეო ერთეულებთან. ეს ანბანური ჭეშმარიტება შეგნებული ჰქონდათ ყველთვის ქართველ მენშევიკებსაც. ისინი ბოლო წლების განმავლობაში იბრძოდნენ საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის იდეას, იბრძოდნენ საქართველოს ეკონომიურად თავისუფალ ერთეულად აღიარებას. საქართველოს ავტონომიაც კი მათთვის მიუსაწვდომელი იყო პოლიტიკური და ეკონომიური რეაქციის. მაგრამ ისტორიამ ცხადჰყო, რომ მათ სურდათ დამოუკიდებლობა რუსეთის პროლეტარიატისაგან და სრული დამოკიდებულობა რუსეთის ბურჟუაზიაზე. და როცა რუსეთში გაიმარჯვა პროლეტარულმა დიქტატურამ მათ პირი იბრუნეს დასავლეთის ბურჟუაზიისაკენ და მის ბანაკში მოექცნენ. ჩვენ, კომუნისტები სხვანაირად ვუფრთხილდებით დამოუკიდებლობასაც და პოლიტიკურ-ეკონომიურ კავშირსაც. კომუნიზმი არ უგულებელყოფს ხალხთა დამოუკიდებლობას, საბჭოთა, ე. ი. მშრომელთა რესპუბლიკებში პირველად ისტორიაში ხორცს ისხამს მშრომელი ხალხის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა, მშრომელი ხალხი პირველად პოულობს აქ, საბჭოთა რესპუბლიკაში, თავის სამშობლოს. მაგრამ ეს სამშობლო არის სოციალისტური, მწარმოებელი კლასის დიქტატურაზე დამყარებული. მისაღებია ყოველივე, რაც კი ამაგრებს ამ დიქტატურას და მაშასადამე საბჭოთა რესპუბლიკას, უარსაყოფია ყოველივე, რაც ასუსტებს ამ დიქტატურას და მაშასადამე [illegible] საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას.

რა ამაგრებს მშრომელთა რესპუბლიკას? მჭიდრო პოლიტიკური და სამხედრო კავშირი დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებთან, ე. ი. მეზობელ საბჭოთა სახელმწიფოების მშრომელთა მასებთან. შეერთებული ძალებით ბურჟუაზიული რეაქციის წინააღმდეგ, გაერთიანებული ფრონტით სისხლმოწყურებულ იმპერიალისტების წინააღმდეგ—აი მთავარი აზრი და მიზანი საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო პოლიტიკური კავშირის. საბჭოთა რესპუბლიკებ შორის არ არსებობს დავა და ვაჭრობა საზღვრების გამო, არ არსებობს შენ-ჩემობა, ისინი როგორც ერთი მთლიანი კოლექტივი გამოდიან ბურჟუაზიული ქვეყნების წინ. თუ რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკას მოელის საფრთხე, ეს საფრთხე ერთნაირად ემუქრება ყველა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებსაც. აქედან გამომდინარეობს დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთიგვეობა, რადგან ყველას მტერია შინაური კონტრ-რევოლიუცია და გარეშე დამპყრობელი იმპერიალისტური ძალა.

მაგრამ არ კმარა პოლიტიკური ღონისძიებათა გაერთიანება. დიქტატურის საძირკველი—საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკის ძალებიც გაერთიანებული უნდა იყოს თავდაცვის და საბოლოო გამარჯვების მიზნით. ამიერ-კავკასია რომ ერთ მთლიან სამეურნეო სხეულს წარმოადგენდა ყოველთვის, რომ მისი დაჭრა ნაწილ-ნაწილად, გადაღობვა [illegible] კედლებით და სხ. დამასუსტებელია თითეულ ნაწილისათვის, ეს ყველამ იცოდა და იცის. მით უფრო საჭირო და მიუცილებელია ასეთი მთლიანობის დაცვა დღეს, როცა მთელს ამიერ-კავკასიაში ფრიალებს დროშა საბჭოთა ხელისუფლების, მშრომელთა დიქტატურის. თუ საბჭოთა რესპუბლიკები შესძლებენ გაერთიანებას თავიანთ ეკონომიკისა და მეურნეობისას, თუ ისინი შეძლებენ ერთ მთლიანი ეკონომიური პოლიტიკას წარმოებას—მათი არსებობა, წინსვლა და საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია. ერთი საერთო გეგმა წარმოების და ვაჭრობის, გაერთიანება საგარეო ვაჭრობის საწარმოებლად, გაერთიანება წარმოების სასიცოცხლო ძარღვების—რკინის გზების, სავაჭრო საქონლის ფონდების, ფულის ნიშნების და სხ.,—[illegible] მთელს პოლიტიკურს და ეკონომიურს სხეულს და გოლიათის ძალას შესძენს პაწაწკინტელა საბჭოთა რესპუბლიკებს.

სწორედ ამ აზრით და მიზნით შედგა ამ უკანასკნელ დღეებში ტფილისში კავკასიის ეკონომიური სათათბირო, რომელზედაც გამოკვლეულ იყო სპეციალისტების მიერ საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკა, მისი შესაძლებლობანი და პერსპექტივები, აგრეთვე შედგა კონფერენცია კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების საბჭოთა რესპუბლიკების რევოლიუციონური პოლიტიკის საკითხების გასაშუქებლად და ჩამოსაყალიბებლად. თათბირიც და კონფერენციაც ნაყოფიერად დამთავრდნენ და ამ გარიგებით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურს და სამეურნეო-ეკონომიურ კავშირს. რაც აქამდის გაკეთებულა ამ ხაზით, უგეგმოთ, შემთხვევიდან შემთხვევამდე, დღეის იქით დგება კალაპოტში, ყალიბდება, წინასწარი გეგმის ფარგლებში დგება.

ჩვენ არა ერთხელ გვექნება საუბარი ჩვენს მკითხველთან თათბირის და კონფერენციის ნამუშევარის გამო. დღეს-დღეობით ყველა ჩვენი მკითხველის, ყველა ჩვენი ორგანიზაციის და ცალკე კომუნისტის ვალია ხალხის ფართო წრეებში გაიტანოს ახლავე თათბირის და კონფერენციის მდიდარი შინაარსის რეზოლიუციები და აუხსნან ჩვენი, საბჭოთა ხელისუფლების სხივებით მოფენილ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის და ჩვენი, კომუნისტურ-რევოლიუციონური თანამშრომლობის, კავშირის და ერთობის მნიშვნელობა.

პროვოკაცია სოფლად

დღევანდელ ჩვენს გაზეთში იბეჭდება კორესპოდენცია ახალციხიდან პროვოკატორების მუშაობის შესახებ. მენშევიკების აგენტები დაძრწიან სოფლად და ქალაქად და, არევ დარევის გამოწვევის მიზნით, ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს; მაგალითად, თითქო ანტანტის ჯარი ცნობილი ჯუღელის მეთაურობით მოახლოვებოდეს ახალციხეს. პროვოკატორები გამალებულ მუშაობას ეწევიან არა მარტო ახალციხის მაზრაში არამედ საქართველოს დანარჩენ პროვინციებშიაც. ამ სტრიქონების ავტორს ამას წინად მოუხდა მოგზაურობა ზუგდიდის მაზრაში: რა ხმები და ჭორები გინდათ, რომ იქ არ გაიგონოთ. აღარ თუ გინდათ ბონების გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმა. მთავრობამ გამოსცა თავის დროზე განკარგულება მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების ფულის ნიშნების თავისუფალ ტრიალის შესახებ საქართველოში. ამასთან დაკავშირებით პროვოკატორებმა შეთხზეს, თითქო მენშევიკები უკან ბრუნდებოდნენ, ბოლშევიკები გაქცევაზე იდგნენ, რის გამო ბოლშევიკური ფულის ტრიალი შეწყვეტილიყოს.

ანტანტას ჯარის გამოლაშქრება საქართველოს დასაპყრობად ან მისი გადმოსხმა ჩვენს ნაპირებზე ხომ როგორც ნამდვილი და ჩვეულებრივი ამბავი ვრცელდებოდა. მრავალ სხვა ზღაპრულ ამბებს გაიგონებთ სოფლად.

ფსიქოლოგიური წყარო არ არსებულ ამბების გავრცელებისა, ან ნამდვილ ფაქტების გადასხვაფერებისა ხალხის ფანტაზიაა, მისი მიდრეკილება შემოქმედებისადმი. ხოლო თუ ეს შემოქმედება ასეთ მახინჯ სახეს იღებს და ყალბი შინაარსით ივსება, ეს მიეწერება ერთის მხრით უვიცობას, სიბნელეს, ხალხის მასსას ჯერ კიდევ არა აქვს საკმაოდ განვითარებული კრიტიკული უნარი, რომ სათანადოთ გაიგოს დღევანდელი დახლართული სინამდვილის პირობები; მეორეს მხრივ პროვოკატორების მუშაობას, რომელნიც თავისებურად, ტენდენციურად აშუქებენ ყოველგვარ ფაქტებს და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იყენებენ. ხალხის, ეს მტრები კი, უმთავრესად მენშევიკების აგენტები ბლომად მოიპოვებიან სოფლად. ისინი საჯაროდ, აშკარად იშვიათად გამოდიან საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, ხოლო ჩუმი მოქმედებით, კერძო ლაპარაკში, ჩურჩულით, ორაზროვანი სიტყვებით შხამავენ ხალხის ფსიქიკას და ქმნიან მეტად მძიმე ატმოსფერას. საჭირო კი არის ისინი ალაგმულ იქნან ერთხელ და სამუდამოდ. თუ მათ კიდევ აქვთ ერთგვარი ნიადაგი ჩამორჩენილ მასსაში, ეს აიხსნება: 1) სწორი ინფორმაციის მიწოდების მოუწყობლობით; 2) ჩვენი პარტიული და კულტურული მუშაობის სისუსტით; 3) ზოგიერთ მავნე ელემენტების მიმართ სულგრძელობით, რისნაირ დამოკიდებულების ღირსნი სრულებით არ არიან ისინი, რადგან ამით ბოროტად სარგებლობენ.

სოფლებში, მაზრის ცენტრებშიც ვერსად შეხვდებით გაზეთს, ამ უმთავრეს იარაღს ინფორმაციისას; ვერც მთავრობის, ვერც პარტიულ, ვერც კულტურულ დაწესებულებებში აქ იქ არსებობენ აგიტპუნქტები, რომელნიც სიცოცხლის ნიშან-წყალს ნაკლებად იჩენენ. ხალხს არა აქვს საკმაო საშუალება თავის ცოდნის და ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილებისა და ადვილად ეგება პროვოკაციის ანკესზე. პარტიული და კულტურული მუშაობაც მიმდინარეობს ნელი ნაბიჯით. სისტემატიურად არ იმართება კრებები, მიტინგები მოხსენებები იშვიათად ეწყობა [illegible], არ არის მჭიდრო კავშირი პარტიულ ამხანაგებსა და უპარტიო მასსას შორის, ყველგან საკმაოდ არ ჩანს მცოდნე, გამოცდილი და მტკიცე ხელმძღვანელის ხელი. ყოველივე ამას, რასაკვირველია, აქვს მიზეზები, უმთავრესი კი არის შეგნებულ პარტიულ ძალების ნაკლებობა, რაც მეტად საგრძნობია სოფლად.

პროვოკაციას რომ ბოლო მოეღოს, საჭიროა: 1) დაუყონებლივ მოეწყოს რიგიანად გაზეთების, ჟურნალების და წიგნების მიწოდების საქმე, ჭეშმარიტი ინფორმაციის ფართოთ დაყენება; 2) პარტიული და კულტურული მუშაობის გაძლიერება, ხშირად გამართვა კრებების და მოხსენებების, გაკეთება საბჭოთა ხელისუფლების საერთო და მორიგი მიზნების შესახებ და მიმდინარე ამბებზე; 3) მჭიდრო კავშირის გაბმა უპარტიო მშრომელ ელემენტებთან და მათზე იდეიური ზედგავლენის მოხდენა; 4) ცხოვრების ამრევ დამრევ ბნელი ელემენტების შეუბრალებლად ალაგმვა და მათი მავნე საქმიანობის და ყალბი ინფორმაციის გამოაშკარავება ხალხის წინაშე.

კან.

ფინანსიური საკითხები

III.

ძველ კაპიტალისტურ პირობებში სამეურნეო ერთეულს ქონდა იგი კერძო პირის, ქალაქის, ერობის, თემის ან სახელმწიფოსი, ჰქონდა თავისი ბიუჯეტის ბალანსი აღრიცხვა, რომელიც გამოხატავდა ხელმძღვანელობის საქმიანობის უნარს მათი ინდივიდუალურ თვისებებს; ინდივიდუალური წარმოება-მრეწველობა მიზნად ისახავდა მხოლოდ მოგებას, ცდილობდა ნაკლები თანხა დაებანდებინათ საქმეში და მეტი მოგება ენახა. ის ანგარიშობდა მოგებას დაბანდებული და საბრუნველი თანხის მიხედვით და რამდენად წლიდან წლამდის ეს პროცენტი იზრდებოდა, იმდენათ მოქმედების შედეგით კმაყოფილი რჩებოდა, მას სრულებით არ აინტერესებდა, მაგალითად, თუ რამდენია ესა თუ ის საჭირო მოსახმარი საგანი მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო და ემუშავებია ერთი საგანი და მოეგო იმდენი, რამდენსაც სხვა ას საგანზე მოიგებდა, რადგან ამ უკანასკნელის გასაღება მოითხოვს მეტ დროს და შრომას, შედეგი კი ერთი და იგივე. მართალია რაც ერთი მეურნეობის ნაწარმოებს მეორე მეურნეობის ან მომხმარებლის საჭიროებას შეადგენს, მაგრამ მწარმოებელი ანგარიშობს თუ იმ მოგებული ფულით რამდენ ფაბრიკატს, მასალას ან სხვა მოსახმარ საგანს შეიძენს; უმეტესათ კი ფულის კურსის გაძვირების დროს მისთვის უფრო ხელსაყრელია აგროვოს ფული და არა საქონელი. ამნაირათ კერძო მწარმოებელი ხელმძღვანელობს მოგებით, მისი მოგება დამოკიდებულია არსებული წარმოების პირობებისაგან, საქონლის მოთხოვნილებაზე და მის მიწოდებაზე. მისთვის ანგარიშის გაწევა, თუ რამდენი მოსახმარი საგანი უნდა დამზადდეს სახელმწიფოში, მოთხოვნილების მიხედვით მეტათ ძნელია, შეუძლებელიც არის, რადგან მისი წარმოება ინდივიდუალურია და მოსახმარებლის სტატისტიკა არ არის. ზემოთ მოხსენებულ მიზეზით კაპიტალისტურ ხანაში ხშირია წარმოების კრიზისები. საქონელი დამზადებულია ან მეტი ან ნაკლები მოთხოვნილებასთან შედარებით, მაშასადამე წარმოება სტიქიურია.

კოლექტიურ მეურნეობაში ძირითადი აზრი იგივეა; იქ ცდილობდნენ მეურნეობის სალაროში მოეგროვებიათ იმდენი თანხა, რაც საჭირო იყო აუცილებელი მოთხოვნილების კოლექტივის დაკმაყოფილებისათვის, აშკარაა, რომ ფული თავისი უნივერსალური ხასიათით ყოველ დროს უფრო გამოსადეგი იყო ვიდრე რომელიმე მოსახმარი საგანი ამისათვის იყო ქალაქი, ერობა, სახელმწიფო და სხვა გადასახადის და სხვა შემოსავლის სახით აგროვებდნენ სალაროში ფულს, რომ დაეკმაყოფილებიათ საგზო, საფოსტო, [illegible] სასკოლო და სხვა მრავალგვარი მოთხოვნილებანი; ამ კატეგორიის მეურნეობაში სამრეწველო კრიზისებს არ შექმნიდა ისეთი არევ-დარევა, როგორც წარმოებაში რამდენათ იგი წარმოადგენდა მოხმარებელ კოლექტივს. კაპიტალისტურ სახელმწიფოში აქვს ადგილი, როგორც ზემოთ ვთქვით, მრავალ რიცხოვან და მრავალგვარ მეურნეობას: კოლექტიურს, ინდივიდუალურს, მსხვილს, წვრილს, სასოფლო მეურნეობას, სამრეწველოს და სხვას ინდივიდუალურ მეურნეობათა შორის არის დიდი მეტოქეობა კონკურენცია, რომლის ძალით მსხვილი მეურნეობა დიდი თანხის პატრონი ამარცხებს წვრილს, ასუსტებს მას და ბოლოს ჰკლავს კიდეც. ამ ნაირად კაპიტალისტურ ქვეყანაში მისი უმაღლეს განვითარების ხანაში რჩება რამდენიმე მეტად განსაზღვრული რიცხვი მსხვილი წარმოებისა და სხვა დარგში არ არის ან სულ ცოტაა წვრილი მრეწველობა. ამ ხანის უმთავრესი ნიშანია რომ საზოგადოება დაყოფილია ორ ბანაკად: მუშა ერთი მხრივ და კაპიტალისტი და მოვაჭრე შუამავალი უმნიშვნელო რიცხვი მეორე მხრით. ეს ხანა სოციალიზმისაკენ გარდამავალია; მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ რუსეთსა და სხვა რესპუბლიკებს მათ შორის საქართველოსაც მისცა „სახელმწიფო კაპიტალიზმი," ე. ი. მუშათა და გლეხთა ხელის უფლებას მაინც ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზედ მსხვილი მეურნეობა. დარჩა განზე დიდი ნაწილი რუსეთის წვრილი რესპუბლიკების მესაკუთრე გლეხობა, წვრილი ვაჭრობა და შინა მრეწველობა; მაშასადამე სახელმწიფო კაპიტალიზმი უნდა გამოდიოდეს ეკონომიურ ანგარიშზე, როგორც სახელმწიფოებრივად. გაერთიანებული მსხვილი მეურნეობა რომელიც მხოლოდ სტატისტიკის დაცენტრალური აღრიცხვის საშუალებით ანგარიშს უწევს გლეხის და მუშების მოთხოვნილებას, ამზადებს იმას, რაც მათ სჭირია და ღებულობს მათგან, რაც სახელმწიფოს, მუშა მოსამსახურეს, არმიის სჭირია, დევნის და ასუსტებს ნებსით თუ უნებლიეთ. ვინც მუშათა და გლეხთა შორის დამოკიდებულებაში ერევა: იქნება ეს წვრილი მრეწველ-ვაჭარი თუ სხვა ვინმე. მართალია სახელმწიფო ჯერ-ჯერობით თავისი აპარატით ყველა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ამისთვის მან ნება დართო წვრილ ვაჭრობას, მრეწველობას, ჩადგა მწარმოებელი გლეხის პარტნიორად; გარდა სურსათის გადასახადისა ღებულობს მისგან ნაწარმოების გადაცვლით მისი საჭიროებისათვის [illegible] სურსათ სანოვაგეს. ამ გარდამავალ ხანაში, [illegible] სახელმწიფო ცალკე გამოყოფილი დროის ფულით სარგებლობს, მხოლოდ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, როგორც უნივერსალურ ეკვივალენტს ფულს ეკარგება მნიშვნელობა ის არ გამოხატავს სრულებით მეურნეობის ურთიერთ შორის დამოკიდებულებას, არც ერთეულ მეურნეობის მდგომარეობას, მის ცვლილებას და სხვა. ამნაირი მოქმედება ხალხის ნების გამომხატველისა დამუშავებული იქნება ერთი წლით წინდახედული გეგმით. დამუშავება დაზადება წარმოების საგნებისა დამზადება, დაგროვება სურსათისანოვაგისა, აგრეთვე ფულის შემოსავლის და კომისიის სახით მომარაგებული საგნების მოთხოვნილებისამებრ დარიგება—დანაწილება. ყველაფერი ეს მოითხოვს ერთ სამეურნეო „გეგმას და ერთ სამეურნეო ცენტრს;" ვინ იქნება ამ ცენტრში მისი შექნის ახლობელ ხანაში? შრომის საბჭო (Сов. трудобщество) ხელმძღვანელი კომისია ერთი გეგმის შემუშავებული აღრიცხვის აპარატი სტატისტიკა, შემდეგ აღსრულებელი ორგანოები: მიწათ. მოქმედების სახალხო კომისარიატი, უმაღლესი სახალხო მეურნეობის საბჭო, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და სხვა საფუძვლათ კი საწარმოვო მომხმარებელი (კოოპერატიული) პროფკავშირები შეადგენენ პერიფერიებს და ამნაირ სხემას გვაძლევს ამხ. ა. კრიცმანი—დასმულ კითხვაზედ თავის წიგნში ერთიანი. სამეურნეო გეგმა და ერთიანიანი სამეურნეო ცენტრი. აღმასრულებელი ორგანოთა შორის ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, მისი ფუნქციას. ამ ხანაში ის ზრუნავს: შეადგინოს სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვა ცალკე კომისარიატებიდან წარმოდგენილი 2) იზრუნოს იმაზედ, რომ გასავალი დაიფაროს შემოსავალით, 3) ეძიოს ამისთვის საჭირო საშუალებანი, 4) თვალ ყური ადევნოს მის კრედიტების შესრულებას, და ამ ნაირს ცენტრს, რა რიგათ სრულდება, იგი, 5) ცენტრალურ აღრიცხვაზე იქონიოს მატერიალი, სურსათი, სანოვაგე, ქონება, ფული და სხვა რეალური ღირებულებანი, ნუ დავივიწყებთ რომ კაპიტალისტურ ხანაში ბიუჯეტს ყოველთვის წინ დაურთავდნენ ხოლმე ბალანსს ეს იგი, აღნიშნავდნენ. საშუალებას, ფული თუ დასამუშავებელი მასალა, რითაც იწყებდნენ მუშაობას. სოციალისტურ გარდამავალ ხანაში ეს კიდევ უფრო საჭიროა. [illegible] შეწონილათ არ ჩაითვლება, თუ მატერიალური აღრიცხვა დარჩა უწყებაში: რუსეთის მოკლე ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ ცალკე უწყება დაინტერესებულია საქონელი შეინახოს თავის საუწყებო საჭიროებისათვის საქართველოს სინამდვილეზედაც ხშირათ შევხვდებით, რომ მასალას ინახვენ ნარკომატების ორგანიზაციების ნაწილებიც კი, რომ ისარგებლონ თავისი საჭიროებისათვის: „ეს თავისი სარჯი" უნდა მოისპოს როგორც არქაიული და მის მაგივრათ დაარსდეს სახელმწიფოებრივი, რომელიც უნდა [illegible], როდესაც ესა თუ ის საჭიროება მოადგება. ჩვენ აქ არ ვჩერდებით იმავე მეთოდებს, რომელიც ჩვენ კაპიტალისტური მეურნეობამ გვიანდერძა. ავიღებთ რა სხვა წარმოებას ან დაწესებულებას, თქვენ დაინახავთ რომ იმას აქვს თავისი ცენტრი სახელმწიფოს ეკონომიური ცენტრალურ ქალაქში, მაგალითათ ბანკები, სატრანსპორტო კანტორები და სხვა პეტერბურგში. მათი აქციონური საზოგადოება ყოველ წლიურათ ამტკიცებდა ხარჯთ აღრიცხვას და მისი ბალანსი შეიცავდა მთელი მის ქონებას მთელი რუსეთის ფარგლებში, რომლის ბატონ პატრონი იყო ცენტრალური გამგეობა, როგორც იურიდიული პირი. ეხლა იურიდიული პირად რევოლიუციამ გამოაცხადა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, მისი ბალანსი უნდა წარმოადგენდეს მთელ სახალხო მეურნეობის ქონებას. ეს პარალელი თუ სწორეა და სხვანაირი არც შეიძლება იყოს, მაშინ აშკარაა რომ ცენტრალური მატერიალური აღრიცხვა, როგორც ცენტრალური ბიუჯეტი აუცილებლად საჭიროებას წარმოადგენს. როგორ ან რანაირათ მოხდეს ეს მატერიალური აღრიცხვა ჩვენ გადაჭრით ვერას ვეტყვით, მხოლოდ შემდეგ წერილში ჩვენ შევეხებით როგორ ცდილობენ ამ კითხვის გადაჭრას ზოგიერთი ავტორები.

ვლ. კორძაია.

წითელ რესპუბლიკებში.

საქართველო.

მანგლისი. 10 აგვისტო, (ტელ.) ადგილობრივ სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ გამოაჩინა მაქსიმალური შესაძლებლობა მცხოვრებლების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მათ გახსნეს საკვები პუნქტი, რომლიდანაც დღიურად აძლევენ ნახ. გირვანქა პურს სულზე ახლო მომავალში დაურიგებენ ნავთს. ფიქრობენ მოკლე დროში მოაწყონ ღარიბთა დამხმარე კომიტეტი პურის მოგროვებისა თივისა და დათესვაში.

შულავერი. 11 აგვისტო, (ტელ.) 10 აგვისტომდის ხოლერით ავად გახდა 10 ავათმყოფთაგან 6 მოკვდა და 3 გადარჩა. საბჭოთა მოსამსახურეებს უცრიან ხოლერას.

ბათომი. 10 აგვ. (ტელეგ.). მოვიდა ოსმალეთიდან 3 იალქნიანი გემი, რომლებმაც მოიტანეს შაქარი, ფორთოხალი, ლიმონი, ფქვილი, თეთრი თუთუნი და ნიორი. წავიდა სამი გემი ნავთით და სხვა საქონლით.

იტალიის გემი „ვენტინო" გავიდა ტრიესტში, მან წაიყვანა 75 მგზავრი და წაიღო ხიზილალა. 10 აგვისტოს მოვიდა გემი „დიმიტრი", რომელიც გამოსულა ოდესიდან 4 აგვისტოს და შეუვლია ყველა ნავთსადგურში ყირიმ-კავკასიის ხაზზე. გემმა მოიყვანა 340 მგზავრი, მათ შორის წყალზე მომუშავენი 215 კაცი, რომელნიც მიემგზავრებიან ბაქოში.

„დიმიტრი" ახლად გამოშვებულია შეკეთებიდან და გემ „პეტელთან" ერთად ყოველ კვირეულ იმგზავრებს ყირიმ კავკასიის ხაზზე. ამ დღეებში მოელიან კონსტანტინოპოლიდან დატვირთულ გემს საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საქონლით და ნავთის ტექნიკურ მოწყობილებით მრეწველობისთვის. ამხ. რაბინოვიჩის გამგზავრება კონსტანტინოპოლში სავაჭრო დამოკიდებულების განსამტკიცებლად ამიერ კავკასიისა და დასავლეთ ევროპის და ამერიკის შორის დამთავრდა სრული გამარჯვებით. თბილისში მიეცემა უკანასკნელი სახე იმ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო ამიერ კავკასიის რესპუბლიკებსა და ამერიკას შორის.

ამ დღეებში მოელიან ბათომში ამერიკის ნავმოსანს „239"

რუსეთში

ბრძოლა შიმშილთან.

ლოზუნგი.

მოსკოვი, 15 აგვისტო (რადიო) ვინაა დამნაშავე მოუსავლობაში. შეუძლებლობა სტიქიურ უბედურებასთან გვალვასთან ბრძოლისა შედეგია ქვეყნის ტექნიკურ ჩამორჩენილობის. თუ გლეხის სიბნელეში და უვიცობაში დამნაშავეა მხოლოდ მეფური წყობილება.

ლოზუნგი.

მოსკოვი. 16 აგვისტო (რადიო) ვინც არ ეხმარება ვოლგის მხარეს, ის ხელს უწყობს საერთაშორისო ბურჟუაზიის და რუს თეთრ გვარდიელების [illegible] პირველი იმედია მისი მშიერი გლეხები. ყოველგვარი ღონისძიება სასურსათო გადასახადის შესაკრებად

სამხრეთ სლავიაში

600 კომუნისტის დაპატიმრება

მოსკოვი. 6 აგვისტო სერბიის მთავრობამ გააძლიერა დევნა კომუნისტების წინააღმდეგ. ზოგიერთ ქალაქში სწარმოებს დემონსტრაციები, რომლებიც თავდებიან „სისხლისმღვრელ" შეჯახებით ნაციონალისტთა და კომუნისტებს შორის. ყოფილ მინისტრ დრაკოვიჩის მოკვლის შემდეგ დაპატიმრებულია 600 კომუნისტი. მრავალი კომუნისტები ტყეში იმალებიან.

ნოვაგის ასაკრებათ, რომლებსაც დაურიგებენ დაავადებულ ადგილების მოსახლეობას.

ნორვეგია

ნორვეგიის დახმარება.

სტოკჰოლმი, 1 აგვისტო. ნორვეგიის მთავრობამ პარლამენტში შეიტანა პროექტი რუსეთისადმი დახმარების აღმოჩენისა. თავის პროექტში მთავრობა აღნიშნავს რუსეთში საკმარის რაოდენობით დამარილებულ თევზის „სელიოდკის" და თევზის ქონის მიწოდების შესაძლებლობას. ეს სანოვაგე ადვილად შეიძლება იქნეს მიტანილი რუსეთში სანაპირო გემებით. რაც შეეხება დანარჩენ სურსათ-სანოვაგეს, მთავრობა აცხადებს, რომ იგი მზათაა აღმოუჩინოს დახმარება სურსათ-სანოვაგის გადატანისათვის საჭირო ტონნაჟის მიღებაში და უკიდურეს შემთხვევაშიც კი აანაზღაუროს გადაზიდვისა და დაზღვევის ღირებულება.

გერმანია

გერმანული კომიტეტი დამშეულთადმი დახმარებისა.

ბერლინი. 1 აგვისტო. გერმანიის წითელი ჯვარმა გამოჰყო საგანგებო კომიტეტი რუსეთის დამშეულთადმი დახმარების მოსაწყობათ.

— „როტე ფანე" აღნიშნავს, რომ გერმანიაში ყველა პროლეტარული პარტიები უნდა გაერთიანდნენ პროფკავშირებთან რუსეთისადმი დახმარების აღმოსაჩენად. გერმანიის მუშებმა უნდა აიძულონ ბურჟუაზია, რათა უკანასკნელმა მიაწოდოს რუსეთს საჭირო სატრანსპორტო საშუალებანი და იარაღები.

ბავშვებისადმი გერმანიის მიერ დახმარების გაწევა.

ნაუენი. 3 აგვისტო. დამოუკიდებელმა სოციალისტებმა მოწოდებით მიმართეს გერმანელ დედებს რუსის ბავშვებისადმი დახმარების მოსაწყობად.

— მეორე ინტერნაციონალის სამდივნომ ცირკულიარულად მიმართა თავის ყველა ნაწილებს წინადადებით, რათა უკანასკნელებმა თავგამოდებით ხელი შეუწყონ რუსეთის ხალხისთვის დახმარების აღმოჩენის საქმეს.

გერმანია

მუშათა კრება ბერლინში,

ბერლინი. 8 აგვისტო. (რადიო) ბერლინის ქალაქის დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთა მოვალ რიცხოვან კრებაზე განხილულ იქნა საკითხი თანაგრძნობის გაფიცვის გამოცხადების შესახებ სასოფლო-მეურნეობის გაფიცულ მუშათა დასახმარებლად. კრებამ ხმის უმრავლესობით დაადგინა სასოფლო-სამეურნეო გაფიცვას მიემხროს. გადაწყვეტილია გაფიცვა იმ შემთხვევაშიაც გაატარონ, მოლაპარაკებამაც რომ დაიწყონ, ვინაიდან ყველა დარწმუნებულია, რომ მუშათა მოთხოვნილებანი არ იქნება დაკმაყოფილებული.

გვალვა გერმანიაში.

ბერლინი. 4 აგვისტო. გერმანიის პრესა ძალიან აღელვებულია სახელმწიფოში გვალვის მიზეზით.

„ბერლინერ ტაგებლატს" მოჰყავს ცნობები გერმანიის სასურსათო სამინისტროსი, რომელიც ამბობს: „გვალვა ვრცელდება თითქმის მთელ სახელმწიფოში. განსაკუთრებით დაზარალდა რეინის პროვინცია, მეკლენბურგი, შლეზვიგ-გოლშტეინი, პრუსიის აღმოსავლეთი ნაწილები და მთელი სამხრეთ გერმანია. ყველაზე ძლიერ გვალვამ [illegible] ქერისა და შვრიის მოსავალზე. კარტოფილის მოსავალი საბოლოოდ იღუპება. საძოვრები [illegible] თითქმის ყველა ადგილებში გადამწვარია. თივა, ზოგ ადგილებში ისე ცოტაა მოგროვილი, რომ [illegible] ეყოფა რამოდენიმე თვეს. თივის ნაკლებობის შედეგათ ხდება საქონლის დაცემა და მათი გლეხების მიერ გაყიდვა. [illegible] მოუსავლობა ძალიან ეხება საძოვ[illegible] მეურნეობას. გერმანიის ცალკე სახელმწიფოები უკვე იძულებული გახდნენ [illegible] საწარმოების [illegible] და მიიღონ ზომები დაზარალებულ მეურნეობებისადმი დახმარების აღმოსაჩენად.

[illegible] აგრეთვე ხილეულობისა და ბოსტნეულობის მოსავლის საქმე.

იაპონია.

მდგომარეობა იაპონიაში.

მოსკოვი. 3 აგვისტო. ქალაქ კავასაკში იაპონიაში იფეთქა მუშათა აჯანყებამ. მოეწყო გრანდიოზული დემონსტრაცია 25,000 მონაწილეთი. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს გემების ამშენებელ მუშებმა, [illegible], ელექტრიკოსებმა და სხვა. დემონსტრაციის შემდეგ შეიქმნა კავასაკის მუშათა კომიტეტი. გუბერნატორმა გამოიწვია კობედან 10 დივიზიის ბატალიონი. კავასაკის ქარხნები ადმინისტრაციამ დახურა 10 დღით.

რუმინია.

სიცხე რუმინიაში.

ბუქარესტი. 12 აგვისტო (რადიო). უკანასკნელ კვირის განსაკუთრებული სიცხე [illegible]. უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში უმაღლესი ტემპერატურა უდრიდა 40°/o სხვა და სხვა ადგილებში მოვიდა წვიმა. დარი გაუმჯობესებულია.

ამერიკა

„შორს ხელები რუსეთისაგან".

მოსკოვი. 6 აგვ. ამერიკის მთავრობის საზღვარ-გარეთ საინფორმაციო ბიუროს დირექტორმა გადაჭრით უარჰყო რუს ემიგრაციის წრეებში გავრცელებული ხმები, რომ ამერიკის შტატები მზათ არიან დაეხმარონ და იცნონ ანტი-ბოლშევიკური მთავრობა, რომლის აღმოცენება შესაძლებელი იქნებოდა რუსეთის ტერიტორიაზე.

ამერიკის მთავრობა მისდევს ერთ პრინციპს: „ხელები შორს რუსეთისაგან" და ამიტომაც მან უარჰყო ცნობა რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებისა (პოლონეთისა და ფინეთის გარდა) და თითქმის არც რუმინეთის უფლებაა ცნო ბესარაბიაზე.

საფრანგეთი

უმაღლესი საბჭო აღმოსავლეთის შესახებ.

რომი. 12 აგვისტო (რადიო). უმაღლესი საბჭო თავის უკანასკნელ სხდომაზე პარიზში გადავიდა აღმოსავლეთის საკითხის განხილვაზე. საბჭოს ყველა წევრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შემდეგში საჭიროა სასტიკ ნეიტრალიტეტის დაცვა. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, [illegible] დამოკიდებულებაში [illegible] დახმარება...

[illegible], აგვისტოს 11 ს უმაღლესმა საბჭომ განიხილა რუსეთისადმი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა. საკითხს არკვევდნენ ახლანდელ ტექნიკურ დარგში იმ ამოცანათა შესრულებას, რომელთა შესრულებაც დასახული აქვს ანტანტას რუსეთი-

კაპიტალიზმის სამეფოებში

ინგლისი.

ინგლისის დახმარება.

ლონდონი, 1 აგვისტო. (რადიო). ლონდონის პრესა იტყობინება, რომ თემთა პალატაში ბელვუდის თავმჯდომარეობით შესდგა სხდომა რუსეთისადმი დახმარების უფრო მიზანშეწონილ საშუალებათა გამოსარკვევად. კრებას დაესწრნენ ბრეილსფორდი, ლანსბერი, მესსინჯემი, ჯოზეფ კინგი და სხვა.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, კრებაზე აღნიშნეს, რომ რუსეთი დიდათ წინააღმდეგია ერთა ლიგის და წითელი ჯვრისა, რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

დასასრულ კრებამ აირჩია კომიტეტი, რომელსაც დაევალა: 1) შეუთანხმდეს ინგლისის პრემიერს და ეთხოვოს მას, რათა მან წინადადება მისცეს საბჭოთა რუსეთს ამჟამად რუსეთში არსებულ შევიწროებათა გასაადვილებლად, რომლებიც შეაფერხებენ უცხო კომიტეტთა დახმარების მოქმედებას. 2) მიიღოს ზომები საჭირო სახსრის და სურსათ სა-

საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა

ამა თუ იმ ხელისუფლების მთელი მოქმედება ეკონომიურ დარგში მთლად განისაზღვრება იმ პირობით, თუ რომელ საზოგადოებრივ კლასებზე ემყარება იგი, და, მაშასადამე, ვის ინტერესებს წარმოადგენს და იცავს იგი. სადამცველო ტარიფები, მფარველობითი ბაჟები, კაპიტალის ინტერესების დაცვა შეიარაღებული ძალით როგორც შინ ისე თავის ქვეყნის საზღვარს გარეთ, ახალშენების დამონება, რიგ რიგათ დაყრდნობა მძარცველების ხან ერთს, ხან მეორე ჯგუფებზე,—ყველა ეს საკითხები განუწყვეტლივ დგანან მძარცველთა ხელისუფლების წინაშე და ცდა მათ გადასაწყვეტათ ამა თუ იმ სახით შეადგენს შინაარსს მთელი მათი ეკონომიური პოლიტიკისას, რომელსაც აქვს ერთად-ერთი მიზანი—კაპიტალის ხელისუფლების საუკუნოთ განმტკიცება და შრომის დამონება. საბჭოთა ხელისუფლებას, მშრომელთა ხელისუფლებას, ბუნებრივია, არა აქვს არავითარი დამოკიდებულება ყველა ამ საკითხებთან და მთელი მისი ეკონომიური პოლიტიკის შინაარსს შეადგენს სამეურნეო აღმშენებლობის ძირითად საკითხების გადაწყვეტა შრომის სრულიად განთავისუფლებლათ და თვით კაპიტალის მოსასპობათ.

საწარმოვო ძალთა ძლიერი განვითარება, როგორც პირობა მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა გამრავლებისა მშრომელთა სასარგებლოთ და ამავე დროს კაპიტალის ხელისუფლების და ყველა ძველი სამეურნეო ურთიერთობის მოსპობა — ასეთია ის ძირითადი საკითხი, რომლის გადასაწყვეტათ მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების მთელი ეკონომიური პოლიტიკა.

წარმოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი—შრომა უნდა განთავისუფლდეს ყველა მის შემბოჭველ ბორკილებიდან, ხოლო თვით წარმოებამ უნდა მიიღოს ძლიერი მოძრაობა შემდეგი განვითარებისთვის—აი რაში უნდა გამოიხატოს საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო აღმშენებლობა.

თეორეტიულად მშრომელთა განთავისუფლება კაპიტალის უღლისგან —თავის თავათ წარმოადგენს ყველა უძლიერეს ფაქტორს სახალხო მეურნეობის განვითარებისთვის. მაგრამ სანამ პრაქტიკულ შესაძლებლობათ შეიქნებოდეს, სანამ ნორმალურ და ყოველდღიურ მოვლენად გახდებოდეს, ამ დებულებამ უნდა სძლიოს მთელი რიგი დაბრკოლებათა და [illegible], რომელნიც შესამჩნევათ აშორებენ დროის [illegible] თეორიას პრაქტიკისაგან.

დავიწყოთ იქიდან, რომ თვით ძველ საწარმოვო ურთიერთობის გაწყვეტას დაუყონებლივ შედეგათ მოსდევს არა მწარმოებელ ძალთა განვითარება, არა მატერიალურ სიმდიდრის გამრავლება, არამედ პირიქით მას მოაქვს შედეგათ მათი დაცემა და შემცირება. სახალხო მეურნეობამ უნდა განიცადოს დიდი და საფუძვლიანი რყევა, რომ შექმნას თავისთვის, თანაც შექმნას მხოლოთ მომავალში, ახალი არ ყოფილი საწარმოვო შესაძლობანი.

ასეთი დამახასიათებელი თვისება აქვს გარდამავალ ხანას. მაგრამ მთელი საბჭოთა ხელისუფლება ვარაუდობს სწორეთ „გარდამავალ ხანას" კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ხანა, რომლის დამთავრების შემდეგ ყოველი ხელისუფლება, და მაშ სადამე საბჭოთა ხელისუფლებაც ქრება...

ძველ საწარმოვო ურთიერთობის გაწყვეტა საგრძნობლათ არყევს თვით სახალხო მეურნეობას მის მატერიალურ საფუძვლებს. ძველი წარმოების ფაქტორთაგან უნდა გადავარჩინოთ არა მარტო მუშათა ძალა, არამედ მეურნეობაც, მეტადრე ის მეურნეობა, რომელშიც [illegible] მსხვილი ზომების [illegible]. არა თუ მარტო უნდა ვიხსნით, უნდა გადავაშენოთ იგი იმ სრულიად ახალი საფუძვლების თანახმათ, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა ხელისუფლების მიზნებიდან...

მეურნეობის აღსაშენებლათ აუცილებლათ საჭიროა ბაზისი და თავდაპირველათ სასურსათო ფონდი. ძველმა წყობილებამ თითქმის არავითარი მემკვიდრეობა არ დაგვიტოვა ამ მხრივ. მის შესაქმნელათ გვიხდება განსაკუთრებულ სასურსათო პოლიტიკის წარმოება, რომელსაც მიზნათ აქვს, რომ სოფელს პური მიაცემინოს და საერთოთ, ქალაქს დაუკავშიროს საქონლის ცვლის ნიადაგზე სოფლის დაქცეული მეურნეობა.

სასოფლო მეურნეობა—ეს ერთათ ერთი სასურსათო ბაზისია და ამავე დროს მეტად არა საიმედო ჩამბარებელი თავის ნაწარმოებისა. რაც უნდა ზედმიწევნით იანგარიშოს სოფლის მეურნეობის საწარმოებლათ საჭირო ფონდი და მხოლოთ ზედმეტი ნაწარმოები მოითხოვოს, სახელმწიფო მაინც ვერ მიიღებს იქიდან თავისთვის საჭირო მარაგს ისე, რომ სერიოზული გართულება არ მოხდეს პურის განაწილება (გადასახადი) იწვევს ნათესობის სივრცის შემცირებას, რაც დამღუპველათ მოქმედებს მთელ სოფლის მეურნეობაზე.

ამის გამო ეკონომიურ პოლიტიკას ეძლევა აქ შემდეგი კონკრეტული შინაარსი: სოფლის მწარმოებელ გლეხსა და და ქალაქის მწარმოებელ მუშას შორის უნდა დამყარდეს ისეთი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველჰყოფს ნაწარმოების წესიერ ცვლას ქალაქსა და სოფელს შორის და უკანასკნელის განვითარებას როგორც ქალაქის, ისე სოფლის მეურნეობისას. ქალაქის მუშა დაინტერესებულია სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რომელიც მას უზრუნველჰყოფს პურით, სოფლის მუშაც იმდენათვე დაინტერესებულია ქალაქის მრეწველობის წარმოებაში, რომელიც აწარმოებს მას ყველა საჭირო იარაღით და მასალით. ხოლო სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება დიდათ დამოკიდებულია იმაზე თუ სოფლის მწარმოებელი რამდენათ თავისუფლათ გრძნობს თავს თავის შრომის ნაწარმოების მოხმარებაში. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა დამყარდეს ისეთი მდგომარეობა, რომ გლეხს შეეძლოს თავის საქონლით თავისუფლათ გამოსვლა თავისუფალ ბაზარზე, და საბჭოთა ხელისუფლებაც აძლევს მას ამ შესაძლოებას იმ იმედით, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების უზრუნველყოფით იგი ჰქმნის ობიექტიურ შესაძლოებას სასურსათო ბაზის შესაქმნელათ ქალაქის მრეწველობის განვითარებისთვის. ამნაირათ მყარდება წესიერი ურთიერთობა ქალაქსა და სოფელს შორის, წყდება ისტორიულათ შექმნილი მათ შორის წინაუკმობა. (წინააღმდეგობა) ქალაქის და სოფლის მწარმოებელნი სხვადასხვა მხრიდან უდგებიან სამეურნეო აღმშენებლობას და სახალხო მეურნეობის საქმეში ერთმანეთს ეხმარებიან.

ეს დებულება სრულიადაც არ ირღვევა იმ გარემოებით, რომ გლეხმა „უფასოთ" უნდა მისცეს სახელმწიფოს თავისი ზედმეტი ნაწარმოების ნაწილი სასურსათო გადასახადის სახით. საბჭოთა ხელისუფლება არა თუ მარტო მუშების, გლეხების ხელისუფლებაც არის, გლეხმა უნდა გაიგოს ეს და შეიგნოს ეს არა თუ მარტო თეორეტიულათ, არამედ პრაქტიკულათაც. გლეხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა იმ მსხვერპლის გაღებაში, რომელიც წილად ხვდება მთელ მშრომელ ხალხს.

მ ტ.

(დასასრული იქნება)

სადმი დახმარების საქმეში! არჩეულია საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა სასწრაფოდ განიხილოს რუსეთისადმი დახმარების აღმოჩენის საკითხი და წარმოუდგინოს უმაღლეს საბჭოს კონკრეტიული გეგმა.

იტალია.

იტალიის ეკონომიური მდგომარეობა.

რომი, 12 აგვისტო (რადიო). საფრანგეთის საელჩომ რომში მიაწოდა თავის მთავრობას ცნობები იტალიის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. იტალიის დეფიციტი აღწევს 7 მილიარდ ლირას. ამის და მიუხედავად შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ იტალია შესძლებს თავის ფინანსიური შეფერხების გამოსწორებას. შემნახველ-გამსესხებელ კასაში შეტანილ ფულის რაოდენობა აღწევს 20 მილიარდ მანეთს.

მცირე აზიაში.

რომი, 12 (რადიო). საბერძნეთის ცნობებით ქემალისტთა მდგომარეობა კატასტროფიულია. უმაღლესმა საბჭომ პარიზში მიიღო ცნობები, რომ საბერძნეთის ჯარებს, ყარა-ისსრას დაკავების შემდეგ მიეცათ მოძრაობის სრული თავისუფლება, რაიც აძლევს მათ დიდ უპირატესობას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 76

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წლ. აგვისტოს 11-ს დადგენილებით, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის მმართველად დანიშნა იასონ მგრაბის-ძე ლორთქიფანიძე.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1921 წ. აგვისტოს 15.
ტფილის-სასახლე.

ამხ. თამარ მიქაძის ხსოვნას.

—„Увѣла роза
Дитя зари“.

ისარი მოხვდა გულს, თამარას უდროოდ სიკვდილი, რომ გავიგე, თვალწინ მიდგია სიცოცხლით სავსე თამრიკო. დასევდიანებულმა—მისმა მეგობარმა არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ შევეხო მის სპეტაკ, უმანკო და მაღალ-ზნეობით ცხოვრებას. ამხ. თამრიკო! ვიგონებ იმ ჩემთვის სანეტარო დროს, როდესაც შენ საშუალო სასწავლებელი დაამთავრე და ახიარულმა მაღალ იდეებით გატაცებულმა რუსეთისაკენ გაემგზავრე; ეს იყო 1916 წელს.

სწავლობდა რა ამხ. თამარა მოსკოვის უნივერსიტეტში, მას არ ავიწყდებოდა ის კლასი, რომელიც მთელი ქვეყნის კულტურასა ქმნის, მაგრამ თავის შექმნილ კულტურით თვითონ არამც თუ სარგებლობს, არამედ შიმშილსა და გაჭირვებაში ამოდის სული. ამხ. თამარა მოსკოვში ენერგიულად იწყებს ამ დაჩაგრულ კლასისათვის შრომას. ირაზმება რა ამ რეაქციონურ ხანაში—კომუნისტურ ბანაკში, ის ნამდვილად ცდილობს დაეხმაროს ბედკრულებს—ნესტიან სარდაფებში მცხოვრებლებს.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციამ ამხ. თამარას მოსკოვში მოუსწრო, ახლა უფრო აღფრთოვანებულმა თავის ენერგია გაათკეცა. ხოლო ამა წლის მაისში საქართველოში ბრუნდება და აქ მთელი ზაფხული ცდილობს კომუნისტურ ორგანიზაციის გაძლიერებას. ქ. ქუთაისში ამხ. თამარის ინიციატივით და ზოგიერთი ამხანაგების დახმარებით არსდება „ლამპარი“, ბიურო კომუნისტებისა. ძველმა პარტიულმა ამხანაგებმა, რომელნიც ამ ბიუროში მუშაობდენ იციან თამარის დაუღალავი—ენერგიული მუშაობა, მაგრამ მოხდა რა რუსეთში ოქტომბრის გარდატეხილება და საქართველოში ხელისუფლება მენშევიკებმა ჩაიგდეს, ეს ბიურო მიკეტეს და მრავალს ციხეში ამოაყოფიეს თავი, შემდგომში ამხ. თამარი მიდის ტფილისში და შედის ქართულ უნივერსიტეტში, ცდილობს სწავლით აღიჭურვოს და ამით მეტი ნაყოფი მოუტანოს დაჩაგრულთა კლასს, მეტად ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე თამარი მიზნათ ისახავს უნივერსიტეტის დამთავრებას ვინაიდან ნივთიერი მდგომარეობა არ უწყობს ხელს, იძულებული ხდება ერთ და იმავე დროს იმსახუროს, ისწავლოს და ამავე დროს მას არ ავიწყდება პარტიულ ნიადაგზე შრომაც.

სრულიად ჯანსაღ თამარას დღე და ღამე გასწორებული ქონდა. ადგებოდა რა დილის 4–5 საათზე, სამსახურში წასვლამდი ცდილობდა გაემზადებინა თავის გაკვეთილები, ხშირი იყო ისიც რომ სამსახურში უხდებოდა მეცადინეობა, მაგრამ დახავსებული ბიუროკრატია ამის გამო ხშირათ ეკინკლავებოდა მას, ის მედგრად უხდებოდა ყოველგვარ დაბრკოლებას და ვერავითარი ძალა მის ოპტიმიზმს ვერ ანელებდა.

ახლაც თვალწინ მიდგას მისი ენერგიით აღსავსე და მკვირცხლი სახე, რომელსაც არ აშინებდა ავადმყოფობა, რომელმაც არ იცოდა რა იყო დაღალულობა, ოღონდ კი თავის დასახული მიზნებისათვის მიეღწია და თავის მრწამს ცხოვრებაში ღრმა ფესვები გაედგა.

თავის დასახულ მიზნებიდან ის ვერ მოესწრო უმაღლეს სასწავლებლის დამთავრებას, ვერც თავის მრავალმხრივი ნიჭის გაფურჩქვნას, ვერც ლეგალურად მუშობა-კომუნისტურ ორგანიზაციისათვის. ამხ. თამარა ამა წლის თებერვალში ავათ გახდა პარტახიანი ტიფით (სახადით) და ტიფის შემდეგ ჰპეკების ანთებით, რომელმაც ჩვენი დაუვიწყარი სასიქადულო ამხანაგი, ჩვენი სიამაყე თამარა შავ სიკვდილს ჩაბარა 25 ივლისს ქ. ყვირილაში. სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში თამარას, ხშირად ნახულობდენ ამხანაგები და მუდამ რევოლიუციონურ პოსტზე მდგარი თამარი ეკამათებოდა და უმტკიცებდა მათ „იდეა გაიმარჯვებსო“ და უმტკიცებდა მცირე ჯგუფის უცილებელ დაღუპვას. ხშირათ იტყოდა ის, „მრავალ საუკუნოებრივ გაფუძლებულ მონობით გამწვავებული ხალხი აღსდგა—გაიღვიძა და ეს რევოლიუციის სახით გამოიხატაო“.

ნაცნობებისათვის დაუვიწყარი არის თამარ! შენი სპეტაკი, ფაქიზი, ლამაზი და დაჩაგრულთათვის თავდადებული ცხოვრება, ისე როგორც უკვდავი არის შენი მრწამსი—სიმართლე. ამხ. თამარ! უკანასკნელათ გეტყვი:

„არა, არ მოკვდი თამრიკო, მხოლოდ გულს მოგვხვდა ნაღველი, და წმინდა ბრძოლის ტალღებზე, კვლავ ბრწყინავს შენი სახელი“.

შენით დასევდიანებული **ნადია.**

ქრონიკა

საქართველოს რკ. გზელთა პროფკავშირის პრეზიდიუმი აცხადებს რომ 20 აგვისტოს დილის 10 საათიდან მუშტაიდის კლუბში გაიხსნება სრულიად საქართველოს რკინისგზელთა ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგი: 1. მიმდინარე მომენტი 2. ამიერ კავკასიის რკინისგზელთა პროფკავშირის გაერთიანება 3. 3) ორგანიზაციული საკითხი. 4) მოხსენება ადგილებიდან. 5) კავშირის მოხსენება 6) მიმდინარე საკითხები.

ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო სთხოვს ყველა ორგანიზ. რომელთაც სურთ მიიღონ ყრილობაში, გამოგზავნონ სია ორატორებისა შემდეგი მისამართით მიხაილოვის ქუჩა № 138, რკინის გზელთა კავშირი, პასუხისმგებელ მდივანს მესხიძეს. საორგანიზ. ბიურო.

◆ **„აკადემია პოეზიის“.** ხუთშაბათს 18 აგვისტოს ხელოვნების სასახლეში საღამოს 7 საათზე შესდგება მორიგი სხდომა „პოეზიის აკადემიის“. მოხსენებას გააკეთებენ: გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე შემდეგ თემაზე: „ქართული პროზის პრობლემა“, „მთვარეულები“ სანდრო ცირეკიძის.

◆ **კოოპერაცია.** საოლქო ეკონომიურ თათბირის გამო ტფილისში იმყოფებიან კოოპერაციის მრავალი წარმომადგენელნი, რომელმაც აგვისტოს 9 ამიერკავკასიის რესპუბლიკების, დღეისტანის და ცენტროკავშირის კოოპერაციის წარმომადგენელთა კერძო თათბირი მოიწვიეს საოლქო ეკონომიურ თათბირზე გამოსვლების საკითხის განსახილველად და იმ საკითხების კონკრეტიზაციის შესახებ, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს კოოპერატიულ მუშაობას.

◆ **აბანოები მექისეთა პროფკავშირის** გამგეობის დადგენილებით აბანოები კვირაობით დახურული უნდა იქნეს საბჭოთა მოსამსახურეების მუშების და პროფკავშირების წევრთათვის რომელთა საჭიროებისათვის ქონობამდე კვირა უქმე დღეებში აბანოები მუშაობდა.

◆ **პირველი სახალხო მოსამართლეები.** გორის მაზრაში მოხდა არჩევნები პირველი სახალხო მოსამართლეების. ამორჩეულები აღმოჩნდენ: გორში—ამხ. მახატაძე, სურამში—მემნონ ჩხეიძე, ხაშურში—არისტო კაკაძე, კიკნაძე, გომში—გიორგი ვეზირიშვილი, ქარელში—გიორგი კოშორიძე, ქვემო ჭალაში იაკიმე ალექსი-მესხიშვილი. მეჯვრისხევი—გიორგი კოკაშვილი, ახალქალაქში ამხ. ჩაგლოვი და ბორჯომში—ამხ. ლომთათიძე.

◆ **მილიციაში.** ტფილისის მუშეთა და გლეხთა მილიციის უფროსი ამხ. ჩაჩიძე დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას.

◆ **რკინის გზებზე ახალი ტარიფი.** ყველა სადგურის უფროსებს, ხაზის ყველა უფროს პირებს და რკინის გზების პროფკავშირთ, მილიციის უფროსებსა და რკინის გზების სხვა უფროსებს დაეგზავნა შემდეგი დეპეშა: ჩემი დეპეშის ნაწილობრივ შესაცვლელად და ოლქების აღნიშვნით, სამგზავრო ტარიფი, რომელიც მოქმედობდა ივნისის 10 მდე 1921 წ. ღამის 18 საათიდან, აგვისტოს 12 და 13-დან დიდდება ოცათას ჯერ, რაიც შეადგენს თითო ვერსზე და თითო მგზავრზე სამას მანეთს, ზოლების სისტემის დაცვით. გზათა უფროსის მაგიერ **ლედერი.**

◆ **საქართველოს საგანგებო კომისია.** საქართველოს საგ. კომ. კოლეგიამ 4 აგვისტოს სხდომაზე განიხილა შემდეგი: 1) საქარ. საგან. კოლეგიამ თანამშრომლის ივანე დოქიძეს საქმე, რომელიც თავის თანამდებობას იყენებდა სპეკულიაციის მიზნებისთვის 2) ყოფილ პოლიციის ალექსანდრე გრომოვის საქმე რომელსაც ბრალათ ედებოდა ბანდიტიზმი 3) ივანე როსტომის ძე კარაპეტოვის და იური პეტრეს ძე ლუზანოვის საქმე, რომელიც მენშევიკურ მთავრობის დროს ჯაშუშობას ეწეოდენ რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის წინააღმდეგ 4) ივანე ზუტაშვილის და ვლადიმერ მუმლაძის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ ალავერდის მონასტრიდან განძეულობის მოპარვა 5) ექიმ იოსებ დავითის ძის სიმხოეჩის—კავკასიის ცალკე ლაშქრის სანიტარულ განყოფილების სანიტარულ მოძრაობის უფროსის საქმე რომელიც ეწეოდა საზიზღარ სპეკულიაციას მედიკამენტებით 6) გამაწრთვნელ სახლის № 1 სამხედრო კომისრის რაჟდენ სიხარულიძის საქმე, რომელიც სარგებლობდა რა თავის თანამდებობით ტუსაღებთან ერთად ქეიფობაში ატარებდა დროს და ვინც მეტს აძლევდა მას მეტს თავისუფლებას აძლევდა. საქ. საგან. კომ. კოლეგიამ მიიღო რა მხედველობაში ის დიდი საფრთხე, რომელიც მოელოდა ზემო აღნიშნულ პირთაგან საბჭოთა ხელისუფლების არსებობას, ყველა ზემო აღნიშნულ პირთ მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი, გარდა რაჟდენ სიხარულიძისა, რომელსაც თავის სოციალურ მდგომარეობის გამო უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა შეუცვალა 5 წლის იძულებით მუშაობით.

განაჩენი ამა წლის აგვისტოს 9 ღამით სისრულეში იქნა მოყვანილი.

◆ **ამერიკის დელეგაცია.** ღამით 12 აგვისტოს ჩრდილოეთ ამერიკის შტატების წარმომადგენელთა დელეგაციამ, რომელიც საბჭოეთში იყო წასული ახლო აღმოსავლეთში დახმარების საქმის დაყენების გასაცნობათ, საგანგებო მატარებლით გაიარა ერევნიდან ბათუმში.

◆ **პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოში.** პოლ. განათ. მთავარი სამმართველოს საგიტაციო განყოფილებასთან არსებულ ბეჭდვით პოლი გან მთავარ სამმართველოს საგიტაციო განყოფილებასთან არსებულ ბეჭდვით განყოფილებამ გამოუშვა შემდეგი გამოცემანი. 1) ცნობათა კრებული ამხ. ხ. ჯ. პურიძის მიერ შედგენილი (ინსტრუქცია, დეკრეტების დებულებების კრებული) 2) „რა გააკეთა საბჭოთა მთავრობამ რუსეთში“—ვანოვის ბროშიურის გადაკეთება. 3) „ყუმბარა“ სალიტერატურო იუმორისტული ჟურნალი, რომელიც შეიცავს ქართველ პროლეტარულ პოეტების ნაწარმოებს და იუმორისტულ ნაწილს. ჟურნალი ევროპიული ტიპისაა, შემკულია სურათებით, შარჟებით და კარიკატურებით. გამოდის გაზეთი „წითელი მხედარი“ ქართულ ენაზე. გამოვიდა რამოდენიმე ნომერი.

თეატრი და ხელოვნება

მუშათა ცენტრალური კლუბი ოთხშაბათს, ამ წლის აგვისტოს 17 ვოლგის მხარის დამშეულთა სასარგებლოთ გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი შემდეგ თემაზე რევოლიუცია და ხელოვნების ბალადები. პროგრამაში: „7 სიმფონია“ ბეთჰოვენისა; „მფრინავი ჰოლანდიელი“ ვაგნერის; „სტენკა რაზინი“ გლაზუნოვისა; სიმებიანი სერენადა ჩაიკოვსკისა და სხვა. ორკესტრი სამოცი კაცისგან. კონცერტში მონაწილეობს სახელმწიფო თეატრის მსახიობი. ბ. ზალიპსკი კონცერტის დირიჟორი ა. ა. ცენოვსკი მიიღება შესავალი სიტყვა შესავალი ფასი: სტუმრები—3000 მ. კლუბის წევრები—2000 მ წითელ არმიელები 1000 მ. დასაწყისი საღამოს 8 ნახევ. საათზე.

ტფილისის რევკომის გაფართოვებული სხდომა

ხუთშაბათს 11 აგვისტოს ქალაქის რევკომის შენობაში, (ქალაქის ყოფილი თვითმართველობა) შესდგა გაფართოვებული პლენარული სხდომა ტფილისის რევკომისა, ს. კ. პ. ტფილ. კომიტეტისა და პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისა.

დღის წესრიგში იდგა ერთი კარდინალური კითხვა,—ქალაქის კომუნალური მეურნეობა და მასთან დაკავშირებული ტფილისის მუშების მდგომარეობა.

მოხსენება გააკეთა ხსენებულ დაწესებულების მუშაკმა ამხ. დ. ბაქრაძემ.

დამატებითი მოხსენებით გამოვიდა ამხ. საშა გეგეჭკორი. მან შეეხო გაფუჭებულ წყლის არხებს, რომლის გამო ქალაქის მცხოვრებლები იძულებული არიან ითმინონ უწყლობა; შეეხო აგრეთვე მდგომარეობაში მყოფ ელექტრო—სადგურების ტრამვაის ვაგონებს, რომლის შეჩერების მიზეზი თითქო უმაზუთობა ყოფილა, მაგრამ მისი აზრით ნამდვილად კი წესრიგდარღვეული ვაგონის მამოძრავებელი მანქანები არის,—და აქ მიუთითა სხდომას მათი შეკეთებისათვის სწრაფი ზომების მისაღებად. ამხ. საშამ თავის სიტყვის დასასრულს მოითხოვა ამხ. ნიკო კაკნაძის ქალაქის რევკომში გადმოსვლა, როგორც მცოდნე, სპეციალისტი უკანასკნელი აღნიშნული მეურნეობათა დარგების მოწესრიგებაში.

შემდეგ აქ გამოვიდნენ ამხანაგები: ნ. კაკნაძე, ვ. მაჩავარიანი, ილიკო წივწივაძე, ნ. ივანოვი, რუბენი, ვარძიელი, აფანასიევი (ელექტრო-სადგურიდან წარმომადგენელი) და სხვა. ყველა აქათ ერთხმათ აღნიშნეს, ხაზი გაუსვეს ქალაქის კომუნალურ მეურნეობის კრიტიკულ მდგომარეობას და იცნეს საჭიროდ—მის შესანელებლად სწრაფი შეერთებული ძალით ზომების მიღება, რის მიხედვით გამოტანილი იქნა შესაფერი დადგენილება პლენარული სხდომის მიერ.

ხელახტი.

წარმოებითი პროფკავშირებში

აბასთუმანი.

აგერ ორი თვეა რაც არსებობს განახლებული აბასთუმნის კურორტ სანატორიუმის სამმართველო და აქამდი ვერ მოეხერხებინათ აქაურ მუშა მოსამსახურეებს, სხვა დაწესებულებების მაგვარად შეექმნათ ადგილობრივი პროფ კავშირი—ადგ. კომიტეტი სანამ ამის ინიციატივა არ აიღო სამმართველოს კომ. იაჩეიკამ.

27 ივლისს მოხდა ადგკომის არჩევის მიზნით ხსენებულ სამმართველოს მუშა მოსამსახურეთა პირველი კრება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. კრებას დაესწრო ორმოც და ათ კაცამდი განსაკუთრებით მდაბალ მუშა მოსამსახურეებიდან. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ი. ჯორბენაძე. მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბელენკინმა, სადაც მან ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ მთელი ქვეყნის პოლიტიკის საკითხთა საკითხი საერთაშორისო რევოლიუციის ხელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით წინ მიდის და საბოლოოდ მაგრდება სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად საქართველოც უნდა ჩაბმულიყო ამ დიდ პოლიტიკურ პროცესში, რომ შეერთებული ძალით ბურჟუაზიის ძალა უფლების თავ და თავი დაპყრობით მოესპოთ დრო მოჭმული კაპიტალისტური წესწყობილება და დაემყარებიათ სამუდამო შრომის სუფევა.

შემდეგ პროფ-კავშირების დანიშნულებასა და მიზნებზე მოხსენებით გამოვიდენ ამხ. ნ. ნუცუბიძე და ა. ასათიანი. მათ აღნიშნეს, რომ მუშა-მოსამსახურეების ცხოვრებაში ადგკომს, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დროს, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ბურჟუაზიულ წესწყობილების დროს ასეთ კავშირებს განსაკუთრებით პროლეტარულს), მიზნად აქვს დასახული მუშა მოსამსახურეების შრომის და უფლების დაცვა, ბურჟუაზიულ სახელმწიფოსაგან, რომლის პირდაპირი მტერებია ისინი და თავის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად ცდილობენ მოსპონ ასეთი სახელმწიფო.

საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ეს მიზანი რადიკალურად იცვლება და თუ ძველი წესწყობილების დროს მხოლოდ თავის უფლებებს და მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდენ, დღეს მათი ჭეშმარიტი დანიშნულებაა, ხელი შეუწყონ თავიანთ ინტერესების გამომხატველ სახელმწიფოს.

ადგილკომის არჩევის შემდეგ, სადაც ხუთ წევრში გავიდა მხოლოდ ერთი არა კომუნისტი, კრებამ დიდი ხმის უმეტესობით, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია მომენტზე: „აბასთუმნის სანატორიუმ-კურორტის მუშა-მოსამსახურეების კრებამ მოისმინა რა მოხსენება მომენტზე, ესალმება ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს, განთავისუფლებულს „ანტანტის იმპერიალიზმისა და გამყიდველ სოციალ-მენშევიკებიდან და მტკიცედ სწამს, რომ საბჭოთა საქართველო დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად შექმნის მშრომელ მასების ბედნიერ დღეობას და ქვეყნის კულტურულად აყვავებას“.

ორიანი.

პროვინციაში.

სურსათზე შემოღებულ ნატურალურ გადასახადის კომპანია

მარტყოფი. (ტფილისის მაზრა).

კვირას 14 აგვისტოს სოფელ მარტყოფში შესდგა მარტყოფის რაიონის მიტინგი.

მიტინგს დაესწრო 500—600 კაცი დაახლოვებით,

ხალხი მრავალჯერ ამაზე მეტი იქნებოდა, რომ ხელი არ შეეშალა უკვე დაწყებულ პურის მკას,—ამ დროს აქ გახურებული მუშაობა არის ხოლმე პურის მოსაწევად; მშრომელი გლეხკაცობა ოჯახობით შორს ყანებში იყვნენ, სადაც მთელი კვირით, ხშირად თვიობითაც უხდებათ ყანაში დარჩენა.

მიტინგის თავმჯდომარედ არჩეული იქმნა ამხ. ნ. სიდამონიძე, მდივნათ ამხ. ზ. ადიკაშვილი.

მოხსენება გააკეთა ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მიერ წარმოგზავნილმა ამხ სევასტი თალაკვაძემ, რომელმაც მიტინგს ვრცლად განუმარტა მუშურ გლეხურ საბჭოთა მთავრობის ახლად გამოცემული დეკრეტი სურსათზე ნატურალურ გადასახადის შემოღების შესახებ; მან აღნიშნა მისი მნიშვნელობა, ამით დასახული საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მიზანი და დანიშნულება:—. ჩვენ ამხანაგებო, იმასთან ერთად, რომ საბჭოთა მრავალ რიცხოვან საბჭოთა მუშაკებს დავაკმაყოფილებთ,—ამით გავაკეთებთ კიდევ სამს მეტად დიდი სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმეს; 1 ლი,—გავანელებთ სპეკულიაციას, მოვსპობთ შედარებით სპეკულიანტებს, 2 რე,—ავსწევთ მაღლა ფულის ფასს, ფულის ღირებულება მნიშვნელობას; 3 მე,—იმის ნაცვლად, რომ ჩვენს—მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში ვინმე კერძო პირმა, ან ვაჭარ-ჩარჩმა შეიძინოს ფულები, გაიგოს ჯიბეები, გახდეს კაპიტალის მქონე, კაპიტალისტი,—ჩვენ შევქმნით სახელმწიფოებრივ კაპიტალს, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს საბჭოთა მთავრობას სწრაფად გაუწოდოს დამხმარე ხელი დამშეულ მუშებს და გლეხებს.

დაასრულა მან ამით თავისი მოხსენება.

შემდეგ იქმნა მოცემული მრავალი შეკითხვები, რომელთაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა ამხ. მომხსენებელმა,

შეკითხვების დასასრულ მიღებული იქმნა ერთხმათ შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ, მარტყოფის რაიონის სასწრაფოდ შეკრებილმა მიტინგმა, მოვისმინეთ რა მოხსენება ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის მიერ წარმოდგენილ ამხ. ს. თალაკვაძისა, ახლად გამოცემულ საქართველოს საბჭოთა მთავრობის დეკრეტის ახსნა-განსამარტავით — **სურსათზე ნატურალურ გადასახადის შესახებ,** ვიწონებთ მას და შეძლების და გვარად დავუჭერთ ჩვენს მთავრობას,—გავიღოთ ჩვენი რგებული წვლილი.

მიტინგის თავმჯდომარე **ნ. სიდამონიძე.**

მდივანი **ზ. ადიკაშვილი.**

მიტინგის დასრულების შემდეგ, ნაშუადღევს 4—5 საათზე, რაიკომის ბინაზე გაიმართა მარტყოფის რაიონის პარტიის წევრთა საერთო კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ს. თალაკვაძემ. მოხსენება უმთავრესად და მთლიანად შეეხებოდა სურსათზე ნატურალურ გადასახადის შემოღებით გამოწვეულ, პარტიის წევრთათვის სოფლად შექმნილ საპასუხისმგებლო მუშაობა-მოვალეობას. მან აქ მისცა ამხანაგებს ხსენებულ დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებელი სახელმძღვანელო დირექტივები, რომლის სისწორით შესრულება მომხსენებელის აზრით მთლიანად დამოკიდებულია სოფლად კომუნისტების გაძლიერებულ ფხიზელ მუშაობაზე.

მოხსენება ყურადღებით იქმნა მოსმენილი ამხანაგებისაგან, რის შემდეგ მათ შესაფერი სამოქმედო გეგმებიც შეადგინეს.

ხ.

ახალციხე.

სამი წლის მენშევიკების ბატონობამ და ათი ნაციონალურ ზულუზე აშენებულ „დემოკრატიულ რესპუბლიკამ“ თავის თავად ცხადია, რომ ვერ დაიცვა მშრომელთა ინტერესები პირიქით მან დაუპირდაპირა ძმა ძმას, გამოიწვია უმანკო სისხლის ღვრა მათ შორის. მენშევიკების ჩამოგდების შემდეგაც არ ცხრებიან მათი აგენტები. ისინი დაძრწიან სოფლად და ქალაქად ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს და შეაქვთ არეულობა. მაგალითად ახალციხეში გავრცელეს ხმა, რომ მენშევიკების გმირი ჯუღელი ვითომდა წინ მოუძღვება ანტანტის ჯარს და მოადგა ახალქალაქის მაზრასო. ასეთი უსირცხვილო და ფეხმოკლე სიცრუით უნდათ მიაღწიონ მიზანს ობლად დარჩენილ მენშევიკებმა და მათმა ძმა ბიჭ ბუჭებმა, მაგრამ კარგად უნდა გრძნობდენ ეს ვაჟბატონები, რომ მათ წინაშე დგას საკმაო ძალა მოეპოვება საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც აღკვეთავს ასეთ ბნელ ელემენტებს.

კლემენტი.

აბასთუმანი

ოდესღაც სახელ განთქმული კურორტი აბასთუმანი თავის ახლად გაშენებული შენობებით და ქუჩა ხეივნებით ორი თვის წინად, ქემალისტების უკანასკნელ შემოსევის შემდეგ წარმოადგენდა უპატრონოდ მიტოვებულ ხრიოკ, ნახევრად დანგრეულ სოფელს, თითქმის ყველა სახლებიდან ჩამოღებულ კარ ფანჯრებით, გაძარცული და ყველგან გამეფებული უსუფთაობით. მთლიანი სურათისათვის ამას მიუმატეთ სახელდახელოთ შედგენილი ელემენტებისაგან შემდგარი „რევკომი“.

ასეთ მდგომარეობის დროს გამოგზავნა აქ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა პატარა შტატი კურორტ სანატორიუმის მოსაწყობად. მიუხედავად მრავალ დამაბრკოლებელ პირობებისა, უნდა ითქვას, განსაკუთრებით პოლიტკომის ამხ. თათარიშვილის და სხვა ამხანაგების ენერგიული მუშაობით, დღეს აბასთუმნის კურორტ სანატორიუმი საერთოდ შესაფერ დონეზე დგას.

საჭირო იყო უპირველეს ყოვლისა „რევკომის“ დაშლა და მთელი ადმინისტრატიული უფლების აბასთუმნის კურორტ სანატორიუმის სამმართველოს ხელში გადმოსვლა. შემდეგ დანგრეულ შენობების ტექნიკურად მოწყობა, სანატორიუმის ახალ ბინაში მოთავსება ავადმყოფებისა და მოსამსახურეებისთვის სანოვაგის დამზადება და სხვა.

ყველაფერი ეს შედარებით მოგვარდა და შესაძლებელი შექნა წელს ზაფხულის სეზონისათვის მიეღოთ ავადმყოფები. ყურადღება მისაქცევია მათი სოციალური შემადგენლობისათვის. შარშან აქ, მენშევიკების ბატონობის დროს, გარდა ორიოდე გვარდიელისა და პარტიულ ბიუროკრატებისა, ავადმყოფების დიდი უმრავლესობა შეძლებულ კლასებიდან იყო. დღეს კი სწორედ უმრავლესობას ნამდვილი მშრომელი ელემენტები შეადგენს, რომლებსაც კურორტზე მოსვლა პირველად ეღირსათ თავის სიცოცხლეში. ავადმყოფები ყველა ხელმოკლეა და მათი აქ ყოფნა მთლიანად დამოკიდებულია სანატორიუმზე. უნდა ითქვას, ამ მხრივ ისინი ვერ არიან საკმაოდ უზრუნველყოფილნი. საკვებით არ არის დაცული სანატორიუმის ცხოვრება როგორც რეჟიმის ისე ჰიგიენის და კვების მხრივ. სანოვაგის ნაკლებობის გამო ზოგ ავადმყოფს საჭმლის დაწესებული ნორმებიც არ ყოფნით და ხშირად იმ სანოვაგეთაგანაც, რომელიც უნდა მიიღოს სისტემატიურად, ვერ იღებენ, ხან რძეს კარაქს, კვერცხს. ვერ არის მოწესრიგებული განათება, მედიკამენტების დროზე შეძენა და ბევრი კიდევ სხვა წვრილმანი რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სავადმყოფოს ცხოვრებაში.

ყველა ამის აქვს მიზეზები; საერთო ეკონომიური კრიზისი, აბასთუმნის სიშორე, ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა და სხ. მიუხედავად ასეთი ობიექტიური დაბრკოლებათა, სათანადო ორგანოები და პირები ყოველგვარ ზომებს ღებულობენ სანატორიუმის საქმეთა მოსაწესრიგებლად.

ორიანი.

სალხინო

1921 წ. 31 ივლისს შესდგა სალხინოს უპარტიო ქალთა კრება, კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ქეთო კობერიძე, მდივნათ ამხ. ოლია კოკაია. დღიურ წესრიგში იყო შეტანილი შემდეგი საკითხები: 1. ქალთა შეკავშირების და მუშაობის შესახებ; 2. ადგილობრივი დელეგატების არჩევა; 3. მოხსენება მომენტზე.

1 ლი საკითხის გამო მოხსენება გააკეთა სენაკის მაზრის ქალთა განყოფილების ხელმძღვანელმა ამხ. ქრისტინე ჭოლოკავამ. შეეხო ქალთა შეკავშირების მნიშვნელობას, ახსნა კრებას და მოუწოდა მათ მიეღოთ საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში მონაწილეობა. იგი შეეხო აგრეთვე იმ პროვოკაციას, რომელიც არის გავრცელებული სოფლად მენშევიკების აგენტების მიერ. განუმარტა აგრეთვე კრებას, რა მნიშვნელობა აქვს საბავშო ბაღს ბავშვთა აღზრდა-განვითარებაში, შეეხო აგრეთვე ადგილობრივად საქსოვი ფაბრიკების დაარსებას, და მის დიდი მნიშვნელობას. მოხსენებით კრება დარჩა კმაყოფილი. შემდეგ არჩეულ იქმნა ადგილობრივი უპარტიო დელეგატები—16 ქალი.

გააკეთა მოხსენება მომენტის შესახებ, ამხ. ისიდორე გულორდავამ, შეეხო მსოფლიოს ორ ბანაკად დაყოფას და მოუწოდა ქალებს ამოუდგნენ გვერდში მამაკაცებს, რომლებიც იბრძვიან მთელი კაცობრიობის განსათავისუფლებლათ. მოხსენებამ კრება აღტაცებაში მოიყვანა, რის შემდეგ იქმნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია. მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ქრისტინე ჭოლოკავასი და ამხ. ისიდორე გულორდავასი, ჩვენ სალხინოს თემის ქალთა კრება დავრწმუნდით, რომ საბჭოთა მთავრობა არის ერთად ერთი განმათავისუფლებელი, მშრომელ ქალების მრავალ საუკუნებითი მონობისაგან, და ამიტომ ჩვენ მტკიცეთ დავიცავთ საქართველოს საბჭოთა ძალა უფლებას.

გაუმარჯოს საერთაშორისო ქალთა განთავისუფლებას.

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციას.

კრების თავმჯდომარე—**ქ. კობერიძე.**

მდივანი—**ო. კოკაია.**

ს. წყემი. აბაშის რაიონი.

1921 წ. 5 აგვისტოს დილის 11 საათზე აბაშის იომეჯიდან მომავალ მშვიდობიან მცხოვრებლებს ძიგურის დაღ შარა-გზაზე დაუხვდათ ბოროტმოქმედი პირები, სამი კაცისაგან შემდგარი, რომლებისგან მგზავრები იქნენ გაძარცული. ფული წაიღეს ოთხ მილიონამდე, (4,000,000) და კიდევ სხვა და სხვა ნივთეულობა.

ერთი გაძარცული მგზავრთაგანი გაექცა ავაზაკებს ადგილობრივ წყემის თემის რევკომთან ცნობის მისაწვდენათ. მთავრობამ ცნობის მიღებისთანავე უცებ მობილიზაცია თავის მილიცია რაზმელებს და დღის 1 საათზე გადევნა ავაზაკების შესაპყრობათ და მასთან აცნობა აბაშის რაიონის მილიციის უფროსს. წყემის ამხანაგები შეუერთდენ მეზობელ ნოსირის თემის მილიცია რაზმელებს ძკვალდაკვალ სდევდენ ბოროტ მოქმედთ ტყე-ხურ აბაშის ზე არიანგონ, ს[illegible] დიბრ გუდურში ძონძირის გამოღმა.

წყემის და ნოსირის მილიცია რაზმელებმა გამოიხმაურეს დანარჩენი მეზობელი თემებიც და შეერთებულად დასახლებულ ადგილზე ალყა შემოარტყეს. ამასობაში მოვიდა აბაშის მილიციის უფროსი ამხ. გ. თოფურია თავისი ფხიზელი ძალებითურთ, რომელის მიერ მიღებული სწრაფი და ენერგიული ზომების წყალობით ნაძარცვი ნივთები აღმოჩენილ იქნა.

ავაზაკები ჩასაფრდნენ დიდ თხრილში. გაიმართა ხანგრძლივი ბრძოლა მოკლულ იქნა ერთი ავაზაკთაგანი გვარათ კინწურეიშვილი, ხოლო დანარჩენ ორი ავაზაკმა ისარგებლეს ღამის სიბნელით და მიიმალენ დიდი მოზრდილი ყანის და ბუჩქების წყალობით,

მკვდარი კინწურეიშვილი და ნაძარცვი ნივთები გამოძიებაში გადაეცა, ხოლო დანარჩენი ორი მძარცველების დევნა გრძელდება.

თენ. ჯალაღანია.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

კავკასიის ეკონომიური თათბირი.

7 აგვისტოს საღამოს სხდომა იხსნება საღამოს 6 საათზე. თავმჯდომარეობს ამხ. ურინოვი. იწყება კამათი დილის სხდომაზე ამხ. გრიგორიანის მიერ გაკეთებულ მოხსენების შესახებ.

ამხ. ვირაპ (ს. პ. კ. ს.) ეკონომიურ განყოფილების გამგე, აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიურ თათბირზე უკვე განიხილეს ეს მოხსენება, მაგრამ მაშინ იგი უფრო რელიეფური იყო, ახლა კი იგი უფრო უფერულია. მოხსენება არ ეხება ამიერ კავკასიათა რესპუბლიკათა ურთიერთობას საკითხს. აკრიტიკებს რა მოხსენებას და ეხება რა კაპიტალისტურ პოლიტიკის შეცვლას ომის გამო, როდესაც კაპიტალისტებმა დაიწყეს თავისი კაპიტალის გამოყენება ნედლი მასალის ადგილებში მრეწველობის გასაჩაღებლათ, ვირაპი ამბობს, რომ მოხსენებას საფუძვლათ უნდა დაედოს ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთობის პრინციპი და ყურადღება უნდა მიექციოს წინასწარ ეკონომიურ მოსაზრებებს, რომლებიც მიგვიყვანენ კავკასიის [illegible] ეკონომიურ გაერთიანებამდე [illegible] მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნავთის მრეწველობა ბევრში საქართველოზეა დამოკიდებული, რომელიც აწვდის ამ მრეწველობას აგურს და ხე ტყეს და ხელთ უპყრია ბათომის გზა. ნედლი მასალა ამხ. ვირაპის აზრით, უფრო ხელსაყრელია, რომ აქა მუშავდებოდეს. ამხ. ბახუტოვს (რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს თავმჯდომარე) მოხსენების მთავარი დებულებანი მიაჩნია სწორეთ, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ აუცილებლათ საჭიროა, რომ მთელი ყურადღება მიექცეს ნავთს და მანგანუმს. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ კავკასიის 300,000 მუშიდან 200.000 იმყოფება ამიერ-კავკასიაში და ყურადღება უნდა მიექცეს მუშა-მოსახლეობას მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების.

ყურადღება უნდა მიექცეს ამიერ კავკასიაში მრეწველობის დარგს და ტყავეულობის საქმეს. ჩვენ უნდა ყურადღება მივაქციოთ აზერბაიჯანში არსებულ ქარხნებს, რომელიც უმთავრესათ აკეთებს ნორმას. წარმოებით და სპეციალურ ტანთსაცმელით ფარგალში ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა მუშები უზრუნველყოთ საკუთარი კეთებით. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მესაქონლეობას, და მეთამბაქოებას. მხედველობაში გვაქვს, რა საჭირო ურთიერთობა იტალიასთან. ფეხსაცმელების, მიღების მიზნით მეაბრეშუმეობის დარგისა მხოლოდ შორეულ მომავლისათვის არის პერსპექტივა. დაბოლოს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ხე-ტყის დამზადებას. ჩვენ არ შეგვიძლიან საჭირო მასალის 100 პროც. მივეცემა, მაგრამ 20 პროც. კი ჩვენი ძალღონით ვძლევთ რკინის გზათა მთავარ სახელოსნოს. ბოლოს ორატორი იმეორებს, რომ ჩვენი მრეწველობა უნდა შეუფერხებლად მშრომელ მასალებს საჭიროებას, რათა შესაძლებელი იყოს მისი მომარაგება იმ საგნებით, რომელთა დამუშავებაც შესაძლებელია აქვე ადგილობრივათ.

ამხ. გუსეინოვი (აზერბაიჯანის წარმომადგენელი) აღნიშნავს, რომ ამხ. გრიგორიანის მოხსენებამ ვერ მოგვცა ნათელი გეგმა იმ ეკონომიურ პოლიტიკისა, რომლის გატარება აუცილებელია ამიერ კავკასიაში. გვერდს უხვევთ რა სხვა მომენტებს, ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ იმ დებულებიდან, რომ უხლოეს წლებში საბჭოთა რუსეთიდან ჩვენ ვერ მივიღებთ სერიოზულ ეკონომიურ დახმარებას მაგრამ შეიძლება იმედი ვქონიოთ მის ფაბრიკატების მიღებაზე. მსჯელობთ ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ, ჩვენ შეგვიძლიან შევადგინოთ ორი გეგმა: პირველი, მცირე პროგრამმა, რომელიც შეგვიძლია გავაფართოვოთ ჩვენი ძალებით, იმ პირობით, რომ დასავლეთ ევროპა დაგვეხმარება ჩვენ ცოტათი; მეორე—დიადი პროგრამმა, რომელსაც უნდა შევასწრაფოდეთ—ევროპის მრეწველობის დახმარების მოლოდინი განადგურებაა კი გერმანიის.

მთელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა უპირველეს ყოვლისა მიმართული უნდა იყოს ტრანსპორტის გაუმჯობესობისაკენ. შემდეგ ძლიერ მნიშვნელოვანი საკითხს წარმოადგენს ნავთის მრეწველობა, რომელიც რათაც უნდა დაგვიჯდეს უნდა გადავარჩინოთ. ეს ორი საკითხი (რკინის გზის და ნავთის) ბაზა.

ინჟ. კულანდას მოხსენება გზათა აღმშენებლობის შესახებ.

თავის მოხსენებაში—[illegible] გზათა აღმშენებლობის მიზნების შესახებ ინჟ. კულანდამ აღნიშნა, რომ კავკასიის სამრეწველო ცხოვრების აღდგენისა და შემდეგ განვითარებისთვის, პირველ ყოვლისა უნდა აღდგენილ იქნას არსებული გზები და შეიქმნას მრავალი ახალიც. პირველ ყოვლისა, რომ დავწყოთ საერთო სამეურნეო გეგმის განხორციელება, რომ შევუდგეთ საჭირო მიწის გულის და ტყის დამუშავებას საჭიროა გავიყვანოთ ლიანდაგი მათთან. ამ დარგში მუშაობა უკვე სწარმოებს და, როგორც სჩანს, მისავალ გზების ჩამოთვლიდან, საკმარისად ფართოდაც სწარმოებს, მაგრამ ამ გვარ გზების აშენების გეგმა მთელი ოლქისათვის ჯერ არაა—მუშაობა სწარმოებს წინასწარ არა დეტალურ განხილვის შემდეგ. როგორც დასამუშავებლათ განზრახულ რაიონში, აგრეთვე ხანდისხან სხვა უფრო ხელსაყრელ პირობებში მყოფ რაიონებშიც. რომ ეს ხელახლად არ განმეორდეს, საჭიროა ეხლავე საერთო სამეურნეო გეგმის შემუშავების დროს აღწერილ იქნეს წესრიგი მიწის გულის და ტყეების დამუშავებისა და მათ მისავალი გზების აშენებისა.

აგრეთვე შემუშავდეს ერთი მთლიანი გეგმა როგორც რკინის—გზების ხაზთა აშენების მუშაობისა, აგრეთვე მასალის დამზადებისა და არსებულის განაწილებისა. ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს გაერთიანებულ ტექნიკურ ორგანოში საოლქო ეკონომიურ საბჭოსთან.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1 ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „[illegible]“ ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე 4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე 5-ე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ქალაქის რევკომის ჯანმრთელობის განყოფილების კბილის საექიმო ქვე-განყოფილება აცხადებს, რომ არც ერთ დაწესებულებას ნება არ აქვს იქონიოს საკუთარი კბილის ექიმი: ამისთანები დათხოვნილი უნდა იქმნენ, მხოლოდ მუშა მოსამსახურენი და მათი ოჯახობა რომელნიც საჭიროებენ კბილის საექიმო უფასო დახმარებას, მიიღებენ ასეთს ქალაქის უფასო კბილის საექიმო ამბულატორიებში.

ეს წესი არ ვრცელდება სამხედრო უწყების დაწესებულებებზე.

კბილის საექ. ქვე განყ. ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებისა.

ქალაქის რევკომის ჯანმრთელობის განყოფილების კბილის საექიმო ქვე-განყოფილება, აცხადებს დაწესებულებათა და უწყებათა საყურადღებოთ. რომ ქალაქის სხვა და სხვა უბნებში გახსნილია 47 კბილის საექიმო ამბულატორია, სადაც მუშებს, საბჭოთა მოსამსახურეებს და მათ ოჯახებს შეუძლიათ მიიღონ უფასო კბილის საექიმო დახმარება. სათანადო ორდერები წინასწარ უნდა მიიღონ კბილის საექიმო ქვე განყოფილებიდან (კანონის ქ. № 22) ყველა საბჭოთა დაწესებულებამ, (გარდა სამხედროისა) რომელნიც თავის მხრივ ანაწილებენ მათ საჭიროების მიხედვით თანამშრომლებში.

კბილის საექიმო ქვე-განყოფილება.
ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებისა.

რკინის გზის აგენტთა მოსამზადებელი ქართული ქვეგანყოფილება

აცხადებს, რომ მახლობელ დღეებში როგორც თბილისში, ისე ბათუმში, შოროპანსა და ხაშურში იხსნება სარკინისგზო პროფესიულ-ტექნიკური კურსები რკინის გზის აგენტთა მოსამზადებლად და მუშათა საკვალიფიკაციოთ. თბილისში იხსნება კურსები შემდეგ თანამდებობათათვის მოსამზადებლად: სადგურის უფროსები, მათი თანაშემწენი, გზის ოსტატნი, მაშინისტები, მათი თანაშემწენი, ტეხნიკური მწერლები მორიგეობის უფლებით, კონდუქტორები, მწონავები, კასირები ყველა სახელწოდებისა, ტელეგრაფისტები და ტელეგრაფის ზედამხედველები, თბილისის კურსებთან იქნება გახსნილი ინტერნატი და სასადილო. დაწვრილებითი ცნობების მიღება მსურველთ შეუძლიათ: ტფილისში ელისაბედის ქუჩაზე № 117 სახლში, მეორე სართული, კურსების კანცელარიაში დილის 8 საათიდან—დღის 2 საათამდი; ხაზზე ზემოხსენებულ სადგურებზე, კურსების გამგეებთან. ხაზზე კურსები იხსნება მხოლოდ მუშათა საკვალიფიკაციოთ.

საქართველოს ახალგ. კომკავშირის ცეკა

აცნობებს ყველა სამაზრო ორგანიზაციებს, რომ 20 აგვისტოს 1921 წ. ქ. თბილისში მოწვეულია პირველი ლეგალური ყრილობა ახალგაზრდა კომუნისტური კავშირისა.

დღის წესრიგი: 1) საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით. 2) პოლიტიკური ამოცანები ს. ა. კ. კ., 3) მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში, 4) [illegible] ანგარიში, 5) მოხსენება ახალგ. ინტ-ლის მეორე კონგრესზე, 6) [illegible] და წესდება, 7) სკოლიათა მუშაობა, 8) არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა 50 კაციდან—1 დელეგატი [illegible] ხმის უფლებით,

ს. ა. კ. ქ. ც. კ. მდივანი ძნელაძე.